

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ზოგადი პროფილის კვალიფიციური ფარმაცევტის თანაშემწის ჩამოყალიბება, რომლის ფუნქციებს წარმოადგენს:

- საქმიანობის წარმოება ICN 2000-ის ეთიკური კოდექსის შესაბამისად;
- საქმიანობის წარმოება ევროპაში ჰაციენტთა უფლებების ხელშეწყობის დეკლარაციის (WHO 1994) შესაბამისად;
- საქმიანობის წარმოება ქვეყნის კანონმდებლობისა და ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი კონკრეტული კანონმდებლობის შესაბამისად;
- შესაბამისი კომუნიკაციური და ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების გამოყენება ფარმაცევტულ საქმიანობაში;
- პრევენციული საქმიანობის წარმოება ინდივიდთა და ზოგადად პოპულაციის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ცხოვრების ხანსადი წესის დანერგვის მიზნით;
- ჰაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა უსაფრთხო გარემო პირობების ხელშეწყობის, რისკ-ფაქტორების მართვისა და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით;
- ფარმაცევტული დახმარების საჭიროების ყოველმხრივი, სისტემური და ზუსტი შეფასება;
- კრიზისულ სიტუაციებში ეფექტური ქმედება;
- ფარმაცევტული საქმიანობის სტანდარტების დანერგვა და ხარისხის უზრუნველყოფა;
- ფარმაცევტული გუნდის დანარჩენ წევრებთან თანამშრომლობა და კოორდინირებული საქმიანობა;
- ჰაციენტის შეფასება და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფარმაცევტული დახმარების აღმოჩენა;

- პაციენტზე აუცილებლობის შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ტექნოლოგიური პროცესის ჩატარება აფთიაქში ექსტემპორალური წამალთფორმების დამზადებისას და წარმოებაში კონკრეტული სტადიისა და ოპერაციის განხორციელება;
- ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენების უნარი;
- ფარმაცევტული ანალიზის ჩატარებისას დამხმარე ოპერაციების (ანონვა, შრობა და ა.შ.) ჩატარების უნარი;
- დოკუმენტაციის (კომპეტენციის ფარგლებში) წარმოების უნარი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა, ინფორმაციის მიღების და მიწოდების უნარი;
- შესაბამისი კვლევების მონაცემთა მოძიება და ფარმაცევტული საქმიანობის წარმოება სარწმუნო მონაცემების საფუძველზე.